სპონტანური შარდი

ინფორმაცია პაციენტებისთვის

თქვენმა ექიმმა დაგინიშნათ კვლევა, რომლისთვისაც საჭიროა სპონტანური (ერთჯერადი) შარდის შეგროვება

მნიშვნელოვანია სინჯი სწორად შეგროვდეს.

ამ გზამკვლევში ვეცდებით აგიხსნათ: როგორ შეაგროვოთ შარდი, მონიშნოთ სინჯები და სწორად შეინახოთ გამოკვლევამდე.

ლაბორატორიისგან დაგჭირდებათ:

- შარდის შესაგროვებელი ერთჯერადი კონტეინერი

როგორ ხდება სპონტანური შარდის შეგროვება?

რა უნდა იცოდეთ:

- შარდი შეიძლება შეგროვდეს ნებისმიერ დროს. გაითვალისწინეთ, რომ მოშარდვებს შორის ინტერვალი უნდა იყოს სულ მცირე 4 საათი!
- სქესობრივ კავშირს მოერიდეთ შარდის აღებამდე ერთი დღით ადრე.
- შარდის შესაგროვებელ ერთჯერად კონტეინერს დააწერეთ: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, შარდის აღების თარიღი და დრო.



- ხელები კარგად დაიბანეთ საპნითა და წყლით და გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით.

პროცესის აღწერა

1. დაიბანეთ სასქესო ორგანოები

ქალები: ერთი ხელით გადაწიეთ სასქესო ბაგეები და კარგად დაიბანეთ გამდინარე, თბილი წყლით (საპნის გარეშე), მიმართულებით: წინიდან → უკან. შემდეგ გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით. შარდის აღების დასრულებამდე გადაწეული გქონდეთ სასქესო ბაგეები. მენსტრუაციის დროს შარდის აღება რეკომენდებული არ არის. აუცილებლობის დროს, საჭიროა ტამპონის გამოყენება.

კაცები: მთლიანად გადაწიეთ ჩუჩა და ასოს თავი კარგად დაიბანეთ გამდინარე, თბილი წყლით (საპნის გარეშე). შემდეგ კარგად გაიმშრალეთ სუფთა ხელსახოცით. შარდის აღების დასრულებამდე ჩუჩა გქონდეთ გადაწეული.

2. შეაგროვეთ შარდის შუა ნაკადი

დაიწყეთ მოშარდვა ტუალეტში, დაახლოებით 3 წამის განმავლობაში. შემდეგ შეაგროვეთ, დაახლოებით, 20-30 მლ შარდი შარდის ერთჯერად კონტეინერში, ნაკადის შეწყვეტის გარეშე. შარდის კონტეინერი არ უნდა ეხებოდეს სხეულს. შარდის კონტეინერი მოაცილეთ შარდის ნაკადს შარდვის დასრულებამდე. მოშარდვა დაასრულეთ ტუალეტში.

3. შარდის კონტეინერს ფრთხილად და მჭიდროდ დაახურეთ თავსახური

აღებული მასალა მიიტანეთ ლაბორატორიაში მაქს. 2 სთ-ის განმავლობაში. ლაბორატორიაში მიტანამდე შეინახეთ გრილ ადგილას ან მაცივარში (2 - 8 °C)